

94-12  
1909




# მათრასი

და სვლამური

## № 19

სოფელ-კვირელი, იუმორისტული ჟურნალი



მკერდით არღვევენ  
ზღვას ჰაეროვანს  
და მონადერთი,  
მოგრძო კისერთი  
მწყობრათ იტყოდენ  
ჰანგს „ლალაროვანს“.  
ჩენს ტურფა მხარეს  
რო ჩაუარეს,  
და სასიამო  
ნახეს სურათი,  
ერთმა სოქვა: „ველი  
არს მიმზიდველი,  
იქნებ აქ ვპოვოთ  
რამე სურსათი“.

მეორე იტყვის:  
„ენდობით იქ ვის?  
იქ სიცრუე  
გამეფებული.  
ფრთებს დავაპირან,  
ლაფში გავგვსრიან,  
არა, ნუ გვინდა  
იმათი ფული.“  
მესამე ამბობს,  
კრემლით ქვის აღბობს:  
„ეჰ, ჩენი ბელი  
ზეცად სწერია,  
სჯობს გავხდეთ ველოდ  
სავეთ საწიწწენლად  
ვიღრე იქ საქმე  
დავიჯერია“.

ქვეშ კი, ამ ჟამად,  
ისხდენ თამბაქ  
დრამატიული  
დასის მამები  
და მხიარულნი,  
გაბარწყინებულნი,  
ზეცად მიტყროთ  
მეზნები თვალეები.

მათური და წეროები.  
როს ხუხსმა დამკრა  
და სიბო გაჭრა,  
თოვლმა შეფუფა  
კაცისის წერიო,

ლაღათ შერინავი,  
ვით ჰაერ-ნავი.  
ცაზე გამოჩნდა  
სამიოდ წერიო.  
ფრთა აწყობილნი,  
სამკუთხ წყობილნი

პირს ნერწყვ მომდგარნი,  
სიამით მტკბარნი  
შამფურებს თლიდენ  
გამაღებულნი.

სათუო ბედით  
(წეროს იმედით)  
გულს იშვილებდენ  
მირონცხებულნი.  
მაგრამ რა ნახეს?!  
ფრინველნი მახეს  
აღდენ, ჩრდილოსკენ  
იბრუნეს პირი  
და ჩვენს ბატონებს,  
სცენის პატრონებს  
შერჩათ მხოლოდლა  
შამფურის ჩხირი.

— კი.



### ეშმაკის ინტერვიუ.

#### გიორგი გვაზავასთან.

ეროზის შესახებ თათბირმა ჩვენს თანამემამულე გიორგი გვაზავას ღიდი და თანაც „ჯგირი“ სახელი მოუბოვა. ქალი და კაცი, ერი და ბერი, დღეს მასზე ლაპარაკობს, მის განს აცვიფრებელ შორს მკვრეტელობასა და ტაქტიკოსობაზე მსჯელობს. ჩენი საყვარელი, ნიქით აღსაესე და ღრმა აზროვანი პოეტი გვაზავა, სავსებით დარდილა საზოგადო მოღვაწე, საერობო მოსაქმე გიორგი გვაზავამ. ის საითაც უნდა გადაისროლოთ, მაინც ფეხზე დგას, რა წყალოში არ ჩაავდით, მაინც შურალი ამოღის.

მე ვერაფერი ვერ მიფიქრია ჩემი ძვირფასი მკითხველების განსასწავლელ განსავეითარებლათ, თუ არ ასეთ წარჩინებულ მოღვაწეთა საუბარით მათი გართობა. ეს არის ღღევანდელი ჩემი ინტერვიუს მიზანი.

სულროო დროს დამირჩა ბ-ნ გვაზავასთან მისვლა. ის სურკის წინ იდგა და ვარდის ფერ გაღსტუქს სიხჯავდა. ხომ იცით ყველა „გაღსტუქი“ და „ეოროტნიკი“ ერთნაირათ არ ეგუება ადამიანის სახის ფერადობას თუ ნაკეთიანობას. მიუხედავთ ასეთი საყურადღებო საქმიანობისა, თვალი შემავსრო, ძლიერ ესიამოვნა და მიმიპატია:

— ოჰ! მობრძანდით, ბ-ო ეშმაკო, დოსოჯით!  
— უკაცრავათ, მამული შვილო, უღლოჯო დროს დაგატყდით თავსა!  
— რასა ბრძანებთ! პირიქით, მე ძლიერაც მერისი, ჩემი გახსენებისათვის.  
— დარწმუნებული ვარ კეთილშობილური, თავადიშვილიური გრძნობა ვალაპარაკებთ ეგრე, თორემ ჩემი მოურთიდეელი თავდასხმა არაფრით არ შეიძლება გამართლდეს.  
— Боже мой! მერმე საიდან დანასკვეთ თქვენ, რომ მე კეთილშობილი ანუ თავადიშვილი ვარ?  
— კარგი ერთი თუ ღმერთი გრწამთ! ისე ლაპარაკობთ, თითქო მართლა უბრალო გლეხი კაცი იყოთ. გინდათ დამაჯეროთ, შემდეგ სადმე წამოძვდეს და სსასცილოთ ამიგღონ, მაგრამ ვერა, ეშმაკის მოტყუება არც ეგრე ადვილია!  
— მაშ მე თავადიშვილი ვარ?  
— კარგი თუ ღმერთი გწამთ! რისთვის გინდათ ასე უეციკი გამომიყენოთ? ქვეყანამ იციის რომ თქვენ არა თუ უბრალო ვინმე თავადი, არამედ ღიდი, დიდიგვარისა და ადგილ მამულის თავადიშვილი ხართ.

გიორგის სახე გაუბრწყინდა! მას ძლიერ ბეჭერი უმგზავრია სხვა და სხვა საფრანგეთებში, გერმანიებში, ინგლისებში, ევროპებში და იტალიებში, მაგრამ არსად მისთვის არ გაუშვლიათ, რომ ის წინადა სისხლის თავადი და თავადი არა ბ-ნი აშორდიას მიერ ბომბეული „ღრამატის“ მეოხებით, არამედ მთელის თავისი ძეღარბილით, სულით და ხორციით, აზრით და უაზრობით, აზოვანებით და დაზოვანებით.

— წარმოიდგინეთ, ბ-ო ეშმაკო, მე ეს სრულიად არ ვიცოდი! მე ვგრძნობდი რაღაცა ფარულ ძალას ჩემს არსებაში, ვემორჩილებოდი მის ინსტიტუტურ მიღრეკილებას, მაგრამ არას დროს არ გამოგეტხვივარ ჩემს თავს და არც სხვას გაუშვლია ჩემთვის, რომ მე წმინდა წყლის თავადი ვარ, ნაშთი ძველ მამულიშვილთა!

— რასა ბრძანებთ ბ-ო, თქვენ აღბათ არ იცნობთ ქართულ ისტორიას თორემ იქ არა ერთ გზის ყოველიაზხთ მონათლული სამეგრელოს „უშიშარ და უებრო“ რაინდათ. თუ არ ვცდები, თედო ეორდანიას გამოკვლევით, ქართველი გმირი „პამპულა“, რომელიც შეიქმნა თაფლითა და ჯინჯილთითა და მოადგა ქალაქს შიმშილით ამოსახოცოთ, ეს პამპულა თქვენი არც ისე შორეული წინაპარი ყოფილა.

— ნუ თუ ეს მართალია, ბ-ო ეშმაკო? თუ ეს მართალია! არ ვიცი რით გადავიხდი თქვენს პატივისცემას. თქვენ ძღვენად მიიღებთ ჩემგან ერთ პატარა ლექსს.

— ჩემს ალტაცებს საზღვარი არა აქვს ბ-ნო გიორგი! თქვენი ლექსებიც ხომ საესებით აღსატურებენ ბ-ნი თ. ჟორდანიას გამოკვლევას, მაგრამ მე, კერძოდ მეც მიმიძღვის მკორეაღენი ღვაწლი თქვენი გვიარონების ისტორიის აღდგენაში.

— თქვენ რაღა?

— ბევრი არაფერი, მაგრამ ხომ გახსოვთ როცა პამპულა მოაღდა ქალაქს მტხოვრებთა ამოსავლატათ, ერეკლე სიცილით გადაბრუნდა!

— მერე!

— მერე ისა, რომ როცა თქვენ განიზრახეთ ქალაქისათვის „გოგლების“ შემორატყმა, ხატისოვი სიცილით გადაბრუნდა. აქ აღბათ, რაღაც მემკვიდრეობითი მოქმედობს თქვენში. მართალია ხატისოვი ვერაფერი შეილი ერეკლეა, მაგრამ ჩვენ ხომ მის ისტორიას არ ვიკვლევთ? ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ თქვენ ჩინებული „ასლი“ ხართ პამპულა გვირისა.

— მაშუ მეთადაღიშვილი ვარ, შთამომავალი პამპულანთ შტოისა და არა მამიებელი აზნაური?

— როგორც ორჯერ-ორი ოთხია.

— მაშუ რათ მისაყვედურებენ მე, მაშუ რათ მემდღურიან მე, მაშუ რისთვის მონადღავენ მე, როცა საერთობო თათბირში სამი იფნისის კანონს ვიკავ? რა უნდათ ჩემგან, რას მერჩიან, რას მერჩიან!!..

შევშინდი! კინაღამ დაიღვარა უმანკო ცრემლი მგოსნისა!

— შეუნდე მათ, მგოსანო, რამეთუ არა იციან რასა იქმოდინა! ეს მე ვიცი და კიდევ თ. ჟორდანიამ, რომ შენ ჰემარიტად პამპულა ხარ მეოცე საუკუნისა, ასლი პამპულასი, მემკვიდრე მისი, ანუ საჯღომი სულისა მისისა, მაგრამ რა იცის ბნელმა საზოგადოებამ. მათ ჯერაც მამიებელი აზნაური ჭგონიხართ ან სრულიად უბრალო გლეხი.

— ოჰ უფიცრო და უმადურნო! განუსჯელათ სჯით! მაშუ ბ-ნო ეშმაკო, თქვენ თანახმა ხართ ჩემი აზრისა?

— რა ბრძანება! ქვეყანაზე არ მოიძებნება ისეთი ეშმაკი, თუ კი ის პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას, რომ თქვენი მადლდ გონიერი აზრი არ გაიზიაროს, არ გაინაწილოს.

— არა, ეს ხომ იცით, რომ მე სამი იფნისის საარჩევნოჭკანონს ვიკავ ერთბისათვის?

— სწორეთ ვე რომ ვიცი, იმიტომ მომწონხართ.

— ისიც ხომ იცით, რომ 55 ხმოსნიდან საგუბერნიო საერთობო კრებაში მოქალაქეებს ექნებათ 14 ხმა, გლეხებს 12 და მემამულეებს, ანუ ჩვენ 29.

— ვიცი, როგორ არ ვიცი. ვიცი და რი ამისთვის მომწონხართ

— ახლა შენ ჩემი ეშმაკობა ნახე! კაცო, მოუტრეკიათ გლეხები, ლორწონთმ იცის ვის ამოურჩევია ან რა ამოურჩევია, მაგრამ გლეხები ვასწორებენ ხომ არაფერს არ შეუძლია. დაუეინიათ ჩვენც ხალხი ვარო, ჩვენ მეტნი ვართ, მეტი ხმოსანი უნდა გვეყავდესო. შენ თითონ იცი გლეხების ჟინანობა!

— მერე ვერაფერი ვერ მოუხერხებ?

— ჰო, აკი ვამბობდი, ვიხმარე ეშმაკობა. აღარ გავყავი ჩვენი, თავიღიშვილების ხმა, და იმათი რიხით მოვახსენე: ბ-ნებო! ქალაქს ეყოლება 14 ხმოსანი და სოფელს კი დანარჩენი 41 ხმოსანი მეთქო.

— ტა ტა ტააა! აკი ვამბობ წონდა პოლიტიკოსის ნიჭით ხართ აღსაყვ. აბა ვინ გაიგონა თქვენი გლეხობა. გლეხი საიდან მიხედება ამას, ამ ჯოჯობეთურ ენას!

— შორს ვუთხარი, ბ-ნო ეშმაკო, შორს! ტრახახით არ ვიტყვი და ამისთანობაში სასტიკი ეგზამენი მაქვს დაქერილი.

— დაგვიკრეფ?

— მერმე კიდევ კოწია თუმანიშვილი შეეუჩინეთ. ხომ იცით როგორ რბილათ უღებს ხოლმე ეკალს! ოჰ, მისი ქახნაკანის კირიმე! ჩვენ კი ვქენით ჩვენი და აწე რაც უნდა ის მოხდეს! მართლა რას ემგავნება საგუბერნიო ერობა რომ გლეხებს ჩაუვარდეს ხელში?

— რასა ბრძანებთ! მე მგონია მაშინ სწორეთ მეორეთ მოსვლა დადგება: ვანა ვაგონილა გლეხის გაკეთებული საქმე? გლეხი მუშაობისთვის არის გაჩენილი და თქვენ, კეთილშობილი წოდება კი ხელმძღვანელებთ.


— შენს ენას შაქარი! მე მაგ აზრისა ვარ თავად! მეც მაგ აზრისა ვარ არა მარტო გლეხების, არა მედ ქალების შესახებაც. ქალი ღმერთს ქალათ გაუჩენია, კაცი კაცად, გლეხი გლეხად, თავიდი თავდათ!

— რაო, ქალებსაც უნდოდათ რამე?

— უნდოდათ და ცოტა! შენ კი იცი ბ-ნო ეშმაკო, რამდენათ ვეტრთი მე მწვენიერს იატაკს\*) მე გულ დამშვიდებით არ შემძლია მათზე ლაპარაკი.

ჩემი გული,  
გახუებული,  
გინდა იყოს ზამთარი,  
ტრფობის ხდენად  
მოსალხენად  
განუწყვეტლივ შხად არი.

\*) ცხადია ეს სიტყვა მგოსანმა მტკრე შეცდომით გადმოაღუნა, რამეთუ სქესის ნაცლათ იატაკი აღნიშნავს ეშმაკი.



ვფიქრობ ქალზე  
 ცეცხლის ალზე  
 ვიწვი და ვიზრაკები,  
 მიყვარს ღვწნობით  
 თანაგრძნობით

როგორც ბატის ქუცები.

მაგარამ ყველაფერს თავისი სასწავრო აქვს. ვინ გაიგონა, შენი ჭირიზე, ქალების საარჩევნო უფლება? არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, ზედაც არაინ შემოგვხვდავს.

— ესეც არ იყოს იქ, იქ რას იტყვიან?

— სად იქ, რას ამბობ? პეტერბურგში? დუმაში?

მგონის სახე არასოდეს ეგზომ აღფრთოვნებული არ მინახავს.

— პეტერბურგში, რასაკვირველია, ის არ გვეყოფა რომ 1905 წელში ჩავიჭერით!

— ძმაო ეშმაკო! შენ ველარ გცნობ! მე არც კი შეგონა თუ ჩემი აზრის ქვეყანაზე ვინმე იქნებოდა, გარდა კი თუმანიშვილისა. მე დიდს ყურადღებას ვაქცევ დღევანდელ ჩემს მოქმედებას. გვეყო რაც ჩავიჭერით საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე. ახლა მიანიც ვეცადოთ 1905 წლის შეცდომების გასწორებას. მთავრობის ნდობა ჩვენ სრულიად დავკარგეთ. ჩვენ ისე გვიცქერიან, როგორც არასიმედლებს! დეე სხვებს უტყვიან, მე კი, მე მინდა კეთილსაიმედო ვიყო, თავისუფლათ ვსუნთქავდე თითო ჯოჯოხეთშიაი, მინდა ჩემი ერთგულება ყველამ იცოდეს როგორც მთავრობამ, აგრეთვე ჩემმა ძმებმა, ჩვენმა თავდაუნაურებმა. მე მინდა დიპლომი, დიპლომი კეთილსაიმედობისა. მე მინდა ქვეყნის მარილნი ხელს მართმევენ და არა კი გამიზობდენ, როგორც არადაცა წითელ საფრთხესა.

— ჩინებულთ განძრახვა! თქვენ გინდოდათ და კიდევაც მიადწიეთ სურვილს. თქვენს კეთილსაიმედობაში ახლა აღარავის ეკვი აღარ შეეპარება და თუ ვისზე გლახი ან მაძიებელი აზნაური პერონხართ, ისინიც მალე დარწმუნდებიან რომ სცდებიან, სასტიკათ სცდებიან.


— ეშმაკო, მიშველე ეშმაკო; მე რომ ა. მდივანსავით მომეპარან ხომ დავიღუპე! დუმაში რა პურიშკევიჩმა ჩემზე ცუდი რამ გაიგოს ხომ ელდა დამეცა და მოგვედ? მაშ საიდან შემეძლო მე ქალების საარჩევნო უფლებისათვის ხმა მიმეცა. მერმე რას იტყვიან იქ, ზევით? მერმე რა თვალით შევხედავდე მე კოწიას, მერმე როგორ ვეწიენებოდი მე პურიშკევიჩს, რას იტყვიან ჩემზე სახელმწიფო დუმაში! არა და ათასჯერ არა, მე მინდა ეგზუმენი დავიჭირო, დიპლომი მივიღო საიმედო პირისა.

— ნუ გეშინიათ ნუ ლელავთ, ბნო ვიორგი! იცოდეთ თქვენი ენერგია, თქვენმა ნაქმამ და თქვენი შორს მჭერეტელობა სრულმა თანადგომის თქვენი გამარჯვებისა. ახლა კი მშვიდობით, აღარ დავიშლით, მოირთეთ და დღეს კიდევ თქვენებურათ შეებრძოლეთ ბნელ ძალას. გასსოფდეთ გლახების ფრთები უნდა შეიკვეცოს, თუ სოფლის კეთილდღეობა გასურს. ერთი სიტყვით თქვენ უკეთ მოახერხებთ მშვიდობით!

— მშვიდობით, ჩემო ძვირფასო! იმედი მაქვს ჩვენს მეგობრობას არ დავივიწყებ და ახლო ხანში კვლავ შემოვივლი ჩემთან.

— ვესტები, საქართველოს იმედო!

ეშმაკი.



მ ე ე მ ბ ა რ ს .

მომეცი ხელი, წავიდეთ ერთად! ერთხმად დავსახით მწყობრი სიმღერა. დეე, გამოჩნდეს, რასაც გვიზახდებს ცხოვრების გაზე ჩვენ ბედის წერა!

დე, სამსხვერპლოზე აღინთოს ცეცხლი ზე აიკლანონ მისი ნეტბი და ამ ტაძარზე მე ავიდოდე, უგუნურ ბროსგან შენაჩვენები!

ეკლის გვირგვინი თავსა მიმკობდეს, შუბლ განახოკსა სისხლი მიდოდეს, მიწის სიგულქვეს და ცის სიმღერქს ქარი, საზარი შამოშიოდეს;

ვეზიზღებოდე თანამედროვეთ, როგორც მორწმუნე და მართლის მიტყმელი... ამ ძნელ წამშიაც არ მიმატოვო, მო, მეგობარო მომეცი ხელი!

უკანასკნელად გამომეთხოვე, აღთქმა მომეცი, დამიდე წინდათ, რომ არ დაიხვე და გზას ვანგრძობ, ჩვენს დიად მცნებას დაცეა წმინდათ!

მაშინ სიკვდილსაც არაფრათ ჩავსთვლი და ტკბილ იმედათ გულს ეგ ჩამჩებო, რომ შენ გტოვებ და, მაშასადამე, მით უზრუნველ ყავე მე გამარჯვება!...

6. ზომილეთელი.

# ახალი ამბები.

**თავების შურის ძიება.** ხაშურიდან, ბ-ნი ახლად გაემშავებული საზარელ ამბავს გვატყობინებს. ადგილობრივ სამკითხველოს გამგეს ბნ კვაჭაძეს თავს დასხმინა შშიერი თავგები და მძიმეთ დღეშა-ვეებით. ადგილობრივი აღმინისტრაცია მსწრაფლ გაჩენილა სამკითხველოში და სასტიკი გამოძიება მოუხდენია. წარმოიდგინეთ რას გამოუწვევია თავგეთა შურის ძიება: სამკითხველოში მხოლოდ სამი ოთხი ვახეთი მოღის თურჲე და ყველა ვგრედ წოდებულა „ქემშარიტული“ თავგები იმდენათ დაქინი აღმოჩენილან, რომ ამგვარ ავსურნელოვან ქალაღლისათვის ხელი არ უხლიათ. ამასთანავე წიგნებიც სულ ფინანსულ-ნემეკური და რუსული აღმოჩენილა. ამ გარემოებას უაღრესად აუღელვებია სამკითხველოს თავგები და მათაც ჯავრი ბ-ნ კვაჭაძეზე უყრიათ. მოვლისხმირეო ამბავია!

**თევზების აჯანყება.** როგორც ჩვენი კორესპონდენტი ბ-ნი კალმახი გვაუწყებს, ქართლის პამპულ-ხანს, თავად გიორგი ამილახვარს, მარტო მეტივე გლეხების გადასახადი არ ჰყოფნია და განუზრახავს თითო თევზს, რომელიც კი მის მამულზე ღლიახეს ჩამოიღლის არ აიღოს თითო მანეთი გადასხდენოს. თევზებს თხოვენი მიუშარათეთ თავადისათვის, ნუ შეგვაიწროებთ, არც ერთი მემამულე და არც ხაზინა არათერს არ გვახდენენბსო“, მაგრამ უღმობელს ხანს არ შეუწყნარებია თევზთა საჩივარი; უთქვამს: „რა ექნა, ამდენ შეიარაღებულ მცველს რჩენა ხომ უნდაო“ ამის შემდეგ თევზებს უმაღლეს აღმინისტრაციისათვის მიურთმევიათ არზა, მაგრამ იქაც უარი მიუღიათ.

ამის გამო თევზებს პირი შეუტკრავთ: „თუ სადმე წყალში მოვასწრათ თავადს სამაგიერო გადაუხადოთო“

ხათაბალო მხოლოდ ის არის, თუ როდის შეუდგება წყალი ქართლის პამპულ-ხანს!

**მომავლის მახერბლი.** ჩვენ აქ განგებ არ ვიხმარეთ ბრკალები. განგებ იმიტომ, რომ ამ უბრალო ამბისათვის უფრო მეტი ყურადღება მიგვეპურო მკითხველისა. თორემ ამბავი ჩვეულბერივია.

ბ-ნი ახლად გაემშავებული გვეწერს მიხილოკიდან: „ამ წინახე გორა აბგაშოვის მალაზიაში კინაღამ ერთი უბედურობა დატურილდა. აბგაშოვის ნოქარს საღლაც ვახეთი „მომავალი“ ეშოვნა. საბრალომ რა იცოდა თუ მომავალი ასეთ რამეს უქაღლიდა! ბ-ნმა აბგაშოვმა დროზე შენიშნა მის სავაქროში ვახეთის შემოპარვა და დაუყონებლივ მიიღო ზომები „კარაილის“ ძირიანად აღმოსახებრე-

ლად. ოთხად მოკეცილი ვახეთის სხევეტნარტყმა საქამო დარჩა, რომ მომავლის მსხვეტნარტყმად დასხმული სამუდამოთ მოშლილიყო.

ბ-ნი აბგაშოვი ძლიერ კმაყოფილი ამ ახალი საშეღებნას.

**უცნაური სენი.** შვიი ქვის ვაღიენა, როგორც ჩვენი ქიათურელი კორესპონდენტი ბ-ნი ივანოი იწერება, თან და თან იჩენს თურმე თავისს საშინარ ვაღიენას. ზოგიერთ ახალ ვაზრდებს, ვანურჩველათ სქესისა, დაჩემებით ქვების სროლა. შეღამდება თუ არა დუქნების სახურავებზე ერთი რინინ-რიხინი ასტყდება ქვებისა. მშვიდობიან მცხოვრებლებს ჯერ ხანად მიწის ძვრა ეგონათ, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ ეს უბრალო ტინის ძვრისაგან არის გამოწვეული. დაიჭირეს ორი ასეთი ტვინ ნადრავი ავათყოფი: ქეთევანი და ალექსი. ამბობენ ამ სენით არა ერთი და ორია შეპყრობილიო.



## აუტანია წერასა

ღახე ამ ყვავსა ტიალსა როკორ მიეშრო ძერასა!? ეს ხინჩლიანიც შიოკვა წერილ წიწილების ქერასა! ;ლარ შორდება გლეხისს! ;ზო მიდამო კერასა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აუტანია წერასა.

მეტად თავს გაღის წყეული აღარავისი სხვეენია, ბრძანებს: „წიწილა ყვავისთვის თვით უფაღს გაუჩენია! უფლის ბრძანების წინაღმდეგ რად მიხვალ რადა გწყენია, ეგ რომ თვით სევემა გაიგოს არა ხარ დასარჩენია...“

პასუხად ვუთხარ: მართალხარ რაცა სთქვი სულ მართალია, ეგ იქ მოხდება საცა-კი სევე ქორთა სამართალია. გავგვასამართლებს ეს თოფი სიმართლე ამის ვლია. იგრძნობ ქემშარიტ სამართალს კვესს რომ მოხვედბა ტალია!

გეყოთ რაც ჰქმნით აქამდის  
შენცა და სვამან, ძერამან,  
სვამა თუ ვაგათამამათ  
ურცხემა და გაიძვერამან!  
ეგ ჩაიღინა იმისმა  
უკუღმა პირჯვრის წერამან,  
მასაც მოუვლი როგორმე  
ველარ გაჰკურნოს ვერამან.

ა. ვერჯის-კ. რელი.

### დებე შებნი.

(უცხოეთის სააგენტო)

**რომა.** ფერერის სიცივლობა რომის პაპი ძლი-  
ერ ცუდს გუნებაზე დააყენა. მთელი დღეობით სა-  
სახლიდან არ გამოდის.

**მადრიდი.** რადგანაც ფერეროს ბრალმდებელს  
საქმე ჯეროვანათ არ ჰქონდა გამოძიებული და გა-  
ნაწენი ნაჩქარავი მოუვიდა, ამიტომ უკან დაედევ-  
ნა განსვენებულ მოღვაწეს, რომ საიქიოს მინც  
გაიგოს მისი უღანაშაულობა.

**ლონდონი.** სუფრაისტეკებმა ვრცელი წერილი  
მიიღეს ქართველი მგონის გიორგი გვაზავასაგან, რო-  
მელშიაც გვაზავა უმოჩინილესად სთხოვს ინგლი-  
სელ ქალებს, დროებით ხელი აიღონ საარჩევ-  
ნო უფლებებისათვის ბრძოლაზე. „ეს ბრძოლა ხელს  
შუუშლის ამიერ კავკასიაში ერობის შემოღებასო“  
ბრძულათ დასკვნის ქართული პოეზიის თვა-  
ლი.

**პარიზი.** რომის პაპის მოქმედებამ ფერეროს  
საქმეში ძლიერ ააღელვა მთელი ქვეყნის კათალი-  
კობა. პარიზში დაჟინებით ამბობენ, რომ თუ ახ-  
ლანდელი პაპა გადადგა ან გადააყენეს, მის ნაცუ-  
ლად უთუოდ კ. თუმანიშვილს ამოირჩევენ\*).

ბ ვ ა თ ძ ე ო ფ ი .

სარკმლიდან გხვდავ, ობოლი სსივი

ბარბოცილ შტოსა ეაღერსება,  
ეაღერსე უჩვევ; გულს უქარგავს  
სატრფოს, შეკობას და ეუფერება!

ოჰ, რათ არ იცის, რამ შე მჭირია

ემაჯ აფერსა და მოაფერება?

აქ ჩამოეშვას, ავითმოეფ გულში,

აფერსა ტანუფას შეეფერება!

ირველი მწკრივისა ქადა ეფერის  
არეს მღუმარეს, სერაბ-მითანს  
ობოლი შტო კი თვის ტრფავ სტრფავს  
სიმღერას უმღერს კაუნახანს...

ვაჭმე, ის ჩაჭქრა—შტოს ტადას  
შემოაღომისა დასძახის ქარი,  
ხანმოკლე იყო მის სიტკბოება,  
დანსა ობოლი და გულ და მჭვარსი

არა, არადეს, თუნდ ავითმოეფივ,  
მსგავს არ ვისურვებ მოაფერესს!  
თუ შეის ვაჭქრება, რაღაა მოვასქენ  
ჩემ გულის ხადებს, ტკბილს დექსებს?

იასამანი.



### გურული სცენა.

ზალიკას წერილი დემაში.

მოწყალეო ხელმწიფეო ბატონო გურიელო და  
დიანბეგო უჩის ნაჩალნიკო უფლო დემა! აგერ  
ხანი ხანში მიტრიკინობს, რაც თქვენ იქნით ვაგა-  
ზანეთ, მას მერე ყური გამოჩინოლი გვაქ და თქვე-  
ნი კი ბაიბორო არ იყურება. რა იქნა, ჩარხანაში  
ხომ არ მოგხარჩეს, ყველაყა ჩვენ ყოლიფერს დი-  
ვეთხუეთ და თქვენ ნამუსზე მიყარეთ საქმე. მარა  
თლა საჯაყათა ჩვენ საქმე, წლისაგან წლომდი  
რომ ებლატუნო, სამართალს ვერ იშონი, პირი არაა,  
ლჯილი არაა, საყტარი ხუცების მავიორ ეშმაკებით  
გეიფსო. თლა ფულზე წუთვიდენ თვალები, მე-  
სეულე კატასავით. აგერ გუშამ იშლიკო ერთმა, ზე  
წააჯდა მერორის რემლს თავზე, მერორემ მესამის,  
მესამე დღეს თვარადა უკანდ მოგოლიჩობენ ბუ-  
ზიან ვაკი ცხენსავით, აბა ჩვენ ვინ რას გვეკითხავს,  
ხან გვამგზობენ, ხან გვაწინდობენ და ვინიკის,  
ეშმაკმა წილი იგენის სული. მარა აგენმა თქვენი  
ქირი წილი, ათასეორ გადასახადებში თლა ტყავს  
გვაშობენ, ახლა ახალი თობა რომ ხელში ჩააღ-  
ნენ და საქმე შამილიენ, გეიხედავ შუუჩიკინებენ  
ვინცხას, იგი იშლიკებს, ზე გადაშევა ევეროში,  
წუუსისებენ ვინცხა მეთქერებს, გამოაგებენ ვინცხა  
განდღენ გვეხას მოადენს, ამას ამაზე იბღვეიებს

\* ჩვენ არა გვეჯა ეს ამბავი. წარმოიდგინეთ ამდენი  
ხანი, ქართველ ეგზარხოს ვერ ვეღრისეთ და ნუ თუ ახლა  
იხე გადაარბუნდება ქვეყანა, რომ უკოდველ რომის პაპათ  
ჩვენს თანამემამულეს ქართველ მორჩილს აირჩევენ? რაც  
გინდათ ისა სთქვით და ჩვენ მინც არა გვეჯრა.

ეშმაკი.

დებეშეში.

(საქართველოს საგეგმელო-სტატისტიკური ცენტრი)

**სურამი.** შევეუდღეთ მოსივევის სააფთაქო საწყობის რევიზიას. ჯერ-ჯერობით აღმოვაჩინეთ 3-4 წლის მატლებიანი მალინა. ამბობენ ამგვარი მალინის წვენი ერთი ოჯახს უხდნება ავთამყოფობასო. სურამი, გარინი.

**შემოქმედი.** გამოცხადდა ორმოცი დღის გლოვა კაკაო-ოღლისა და კ. არზბელიძის გადაყვანის გამო.

**ჩონატაური.** დაადგა საშველია, აღარა გვყავს შელია.

**ხილისთავი.** მოიშალა ,,ძმობა—დობის ლეიდი პარტია“.

ქილყვავესავით ზეკუცია და ხელის გულსავით მოგვასუნდებენ. ერთი სიტყვით წყალდაღინოსავით ეისვარა ყოლიფერი, ჯერე საღაა, მოსაწერი ხუთი გორაკი ამბავი მაქ, მარა ვინცა იქინეი სვისტოკინაია, შირი უყვარსო. ჰოდა იქნება რამე ფეხი წვაკვირონ ჩემი წერილით მეთქი, თვარა მე რა ხეიტებს მასყენს. ისთეი რაცხა იგი კალონებია, სიტოკებულეში თუ მომასწრობთ კია, თვარა მე რომ ჩავძალოდებდი, გადამაფრიწეთ სამარეზე, მარა არავინ იფიქროს, როცხა თავზე ხელს ავიღებ, ვინცხა სხვასაც კი ჩევისახანებ სამარეში და მერე ..

ჯერე ავია ჩემი ამბავი, თუ რამეს იზამთ კია, თვარა საცხა თქვენ დამეკარგეთ, ავი სამიშაურის მარკატეხედ მიმიკვერებია. ქკუთ ბაბუებო, ქკუთ! ლავშები თქვენი ამომარჩეველი შეგდაღასამე მხანკოლა



ფოთი

ბ-ნ ვოლდემარს.

ბ-ნო ვოლდემარ! თქვენი წერილი იმდენათ საყურადღებო იყო, რომ გადავსწყვიტე ვაზეთის საშვალეობით ვიპასუხოთ. ეს მით უმეტეს, რომ თქვენდამი მომართული პასუხით, სხვებსაც შეეძლებათ ხელმძღვანელობა.

ქართულ ჟურნალ-გაზეთთა კორესპონდენტების კოქლობა არ ახალია, ძველია. ეს არის მიზეზი, რომ დღეს დაბეჭდილი ხვალ უარსაყოფი ხდება და სინამდვილე, ძლიერ ხშირათ, სრულიად წინააღმდეგს ღადალებს. მე აქ სახეში არა მყავს ის მატყუარა ორფენები, რომლებიც თავის კერძო ინტერესების მიხედვით მოპოვებენ იყენებენ რედაქციის ნდობას, აღათხე ილაპარაკიე მტრია. არცერთ ადგილობრივ გამოცემას არ შეუძლია იმათგან უზრუნველყოფილად დაისახოს თავისი თავი.

ამასთანავე ჩვენ, როგორც თქვენ, არავინ არ მიგვაჩინა შეუცდომლობათ. რასაკვირველია მძიმეა შეცდომა, რომლითაც უღანაშაული პაროვნება იღანძლება, მაგრამ ის ნაინც მეტად მისატყვევებელია, ვიდრე განზრახ შეთხზული.

ნებისთინ ჩადენილი შეცდომა. ჩვენს რედაქციას არასოდეს ექვი არ შეუტანია თქვენი წერილების დალწრფელობაში და თუ ზოგჯერ (როგორც მაგალითად დუნდუას შესახებ) სიმართლე დაიჩრდილა, ეს დაარწმუნებული ვართ არ ყოფილა განზრახ ჩადენილი დანაშაული. ჩვენ ყოველთვის ცსთხოვდით ჩვენს კორესპონდენტებს და ახლაც ამას ვიმეორებთ: ნამდვილი ამბავი შუა გაყყოთ და ნახევარი შეგვატყობით ისა სჯობია, ვიდრე ერთი სიტყვა მეტი დასძინათ.

თქვენ, აგრეთვე, შეუწუხებისხართ იმას, რომ ფოთის ,,ბულვარის მოკრიტიკეთა“ აზრით ჩვენი ვაზეთი, ეს ,,პორნოგრაფიული“ გამოცემა და მასში თანამშრომლობა უკადრისი საქმე. ვარწმუნებთ ამ გვარ მსჯელობას იმდენათ უნდა მიექცეს ყურადღება, რამდენათაც ფოთის კომბითი ერთი ბინდარის ყიყინა. ან კი რა აზრი უნდა ეკითხოს იმ ,,მოკრიტიკეთა“, რომლებიც ბულვარში ეგრე ,,მსჯელობენ“, მაგრამ ჩუმათ, თავისი უშინაარსი ნაწარმოებითა, სარედაქციო გოდრებს ავსებენ. ჩვენმა მკითხველებმა უკეთ იციან რას ემსახურება ჩვენი ვაზეთი და გთხოვთ ზოგიერთ უმეცარათა ბეუტურს ყურადღებს ნუ მიაქცევთ.



ქესტვირული.

შეს ვენაცვალე ეშმაკის, მათხოვე შენი სტვირია, შორს არ წავიღებ, აი აქ დიდ ღვიბიშიში მჭირია

მიუმღერ ქსენონს, აფთიაქს, მათ გამგე კომიტეტებსო, იქნებ გავიგოთ: ანგარიშს როდისთვის გაიმეტებსო ვვონებ იმასქენს ქანქარი იმ ძველსა საქანქრესოა, და სანამ ახალს მოკრფენ არ გაანძრევენ ხელსაო. ფასი უმატეს წამლებსა, საწყალ ხალხს ტყავისძვრესაო, მოგება მაინც არა სჩანს ნეტავ რასა გავს ესაო?! არ აწყენს მილიონება დათიკოს, ნაცნობს ძველსაო, მან გამეგობა იკისრა ქანქარში ურევს ხელსაო, იჯარით იღებს ამ ეშამდ წამლების საწყობელსო თვალნი განაბა მწყერიცივთ ვვაგონებს მლოკველ ღღელსაო, ჩვენს აფთიაქში კაცანებს თვისაში იღებს კერცსაო.

ჯერ არ დღუშვებ ქამანას, კიდევ დაუკრავ ვრთსაო

სამკითხველოში შევიარ არშუებს ვნახავ ბევრსაო ვით ხუნტრულკობენ ქალკახნი; აცმაკურბენ ყბებსაო, თორემ ვინ დაეძაღება აქ ჟურნალ-ვახეთებსაო. წიგნიც არ არის სავარგი ვვიცვ გამვისა წვერსაო, აღარც იძენენ ახლებსა, (ნეტა რა უშლის ხელსაო) მაგრამ ე ჩვენი მართველი წიგნზე არ ფიქრობს ბევრსაო ასეთი ქირისუფალი ღმერთმა ნუ მისცეს მტერსაო. არ დავივიწყებ „ტარშინას“ არცა მის მწერალ-ძველსაო ძველ ნაკოდველი ქანქარნი დღეს რო უტენენ ხველსაო, როს მოწილება ვერ შესძღეს ექიმებს სთხოვენ შევლსაო, ილოკე მათთვის, ეშმაკო, და ნუ შეამთხვევ ბელსაო, მითრახის კუდიც საჩუქრად გამოუგზავნე ყველასო.

კიკოლა ბიჭი.

დეკემბერი

(რუსეთის საავენტო)

გელსინგფორსი ფინლიანდიაში რამოდენიმე კორპუსი რუსის ჯარი გაიგზავნა; ამბობენ მხედრო-ბა ჩრდილო პოლიუსის აღმოსაჩენათ მიდისო.

ოდე-ა. ამბობენ ექს შახი სრულიად ვაევრო-პიელდა: საქმელს დანაჩანგვითი ჭამს და სკაიზულაც ჯდებაო.

იქიდანვე. თუ აღვისს ებრაელთა „მამა“ ვენერალი ტოლმაჩვი სამსახურიდან ვადააყენეს, მის ადგილს უთუოდ ლანჩხუთის გმირს, იაშა მიქია-შვილს მისცემენო. მიქიაშვილი ავგრ რამდენი ხანია ზის ადგილობრივ ციხეში და არ გამოადის, რადგან აღნიშნულ ადგილს ელოდებაო

პეტერბურგი. ამერიკელი მოგზაურნი: კუკი და პირი პეტერბურგს მოდიან. როგორც მოგვსენებათ ამათ აღმოაჩინეს ჩრდილოეთის პოლიუსი, მაგრამ სადღაო საკითხია, რომელმა მთვანმა მიადწია ნამდვილ პოლიუსს. ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს, რომელსაც პირიიმ უძღვნა პოლიუსი, დავის ვადასაწყვეტთა ასეთი წიგნიადღება მიუცია: „წადით რუსეთში, (პეტერბურგს) და რომელი თქვენგანიც აღმოაჩენს იქ კონსტიტუციას ან გამოიკვლევს: არის, თუ არ არის იქ კონსტიტუტია პოლიუსიკ მისი აღმოაჩენილი იქნებაო“. ამიტომ დუმის დგუტატები დიდის მოუთმენლობით მოვილიან გამოჩენილ მკვლევარებს: „იქნებ ახლა მაინც ვავიგოთ: მართლა არსებობს ჩვენში კონსტიტუტია თუ არაო“.



ნასწავლი კატა.

(მიძაძე)

И днем и ночью котъ ученный  
Все ходить по дѣни кругомъ.

Пушкинъ.

მეი ზღვის პირათ,  
(გლენკაცთა ქირათ)  
მუხა სღვას ხმელი, უხარმაზარი,  
და მის ბერ ტოტებს,  
(დღეს შესაცოდებს)  
ჰკილია წვრილი ოქროს ბაწარი.  
ბაწრისა წვერი,  
(არ მონაკურთ)  
ყელზე აბია კატას მეცნიერს  
და მუდამ ხანა,  
(აგი მჩახანა)  
გარს უტრიალებს მუხასა ხნიკრს:  
როს მარჯვნივ წავა  
სიმღერებს ქუავა,  
მარცხნივ კი ზღაპრებს ჩაარაკაკებს,  
თავზე ხტება  
(რა ენადღებება?!)  
წვრილ ბუჩქნარებსა და დაბალ ჯაგებს.  
იმათ არ სწყალობს,  
(ძლიერთ უგალობს)  
ნასწავლი კატა, ქვეყნის მშვენება!  
არ შეუშალოთ  
ხელი უბრალოთ  
მუხისა ჩრდილში სურს განსვენება.

მოხმარებაული მოკლევადიანი

თედრობა დღე იყო. მაზიარებელი ხალხით  
ეკლესია მთლიან გაქედილი იყო. მღვდელმა გამო-  
იტანა ბარძიმი და დაიწყო ხალხის ზიარება. რიგ  
რიგობით მიდიოდნენ ქალები და კაცები. ავტო მო-  
ვიდა მღვდელთან ერთი გლეხი. მღვდელმა დაინახა  
თუ არა ეშმაკურათ ჩაიცინა უღვაშებში. გლეხი  
მიუახლოვდა და პირი დაალო. მღვდელმა კოვხს  
ხელი მოკიდა თითქო უნდა აზიაროსო. გლეხმა  
კიდევ დაალო პირი და სასოებით მიაპყრო თვალებ-  
ში მღვდელს. მღვდელმა კოვხი ისევ ბარძიმი ჩას-  
ლო და პირდაღებულ გლეხს ერთი მკაველი ენა  
წამოუგდო.

განცვიფრებულ გლეხს პირი ღია დარჩა და  
გაქევიდა.

— რას მიყურებ ყაძახო? დრამის ფულს გა-  
დახდა არ უნდა? მომცემ დრამის ფულს—მოგცემ  
ზიარებას; არა და იუყავი პირდაღებული—მიძაძე  
მღვდელმა და საკურთხეველში შებრუნდა.



პედაგოგიური.

(შორს ჩვენგან ტყაუები!)

ბავშვებო! შვილებო!

მეცნიერება, რომლის მისაღებათაც თქვენ აქ  
მოგიყვანეს, აქლემის ნაბიჯით მიღის წინ, განვითარ-  
ებისაკენ! ზოოლოგია, ანატომია, მინეროლოგია  
და სხვა დერგები ერთი მერორეს უსწრებენ წინ. აგ-  
რეთვე ვითარდება ქირურგია ანუ ოპერაცია!

ჯერ კიდევ ნეტარ ხსენებულმა ლეარსად თათ-  
ქარიძემ, (როცა თავის კენიანს მიჰყვევოდა თე-  
ლეთში სალოცავად) იცოდა, რომ აღამიანს თავებს  
სჭირდენ და ახლებს უკეთებდენ, რომ ეს კი არა  
ისეთი მაშინაც მოეგონათ, რომელიც თავის თავად  
ხერხავდა ფიცრებს. მას შემდეგ, შვილებო, საქმე  
ერთობ წინ წავიდა. ცნობილია მეცნიერმა მენ-ში-  
კოვმა\*) დაამტკიცა, რომ აღამიანისათვის მეტია  
როგორც შიგნეულთა ყოველგვარი, აგრეთვე გა-  
რეული ორგანოებიც.

\* იგულისხმება მენციოვი.

საყვარელო შვილებო! მეც, უბრალო მომაკვდავმა, თქვენმა აღმზრდელმა, ჩემი წვლილი შევიტანე მეცნიერების დერგში \*) და დავამტკიცე რომ საჭირო არ არის ადამიანისათვის ყურის ბაბილოები \*\*) . უმეტესებმა და უფროებმა ამისათვის სასაცილოდ ამოგდეს, გამლანძღეს! მაგრამ მე ღრმათა მწამს, რომ ეს ჩვეულებრივი ხედრია ყველა მეცნიერისა.

მართლაც და განსაჯეთ თქვენ თითონ: რის მაქნისია ყურის ბაბილო კაცისათვის. ბაბილო ქათმის საქმეა და ჩვენ ქათმებისაგან დიხვაც ვავიჩვენით. ყურის ბაბილო სიცოცხე უფრო ადრე იყინება და მით პატრონს უსიამოვნებას აყენებს, ყურის ბაბილო ხელს გვიშლის სწავლის დროსაც რადგან წინა სკამზე მჯდომარისა, ევარება უკანას, იჭერს ჩემს სიტყვებსა და ნთქავს. ყურის ბაბილო ხელს გვიშლის აგრეთვე ძილის დროსაც, რადგან თავს ქვეშ იტყულებს და გეტყენს.

მაშ შორს ჩვენგან ეს უწინაშეწელო და უსარგებლო ნაწილი ჩვენის თავისა, ძირს ყურის ბიბილოები!

მეტსაც ვიტყვი, საყვარელო შვილებო! მას შემდეგ, რაც თქვენ ყურის ბაბილოთა თრევისაგან გადაგაჩინეთ, რაც მოკვებ ეს უწნოთ გამოშვებული ნაწილი თქვენის თავისა, განვიზრახე განმეგრძო ჩემი მეცნიერული გამოკვლევა და მამაშვილური მზრუნველობა. ბევრი, დიხვ, ბევრი ფიქრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ადამიანისათვის არც ტყავია საჭირო და მეტადრე ზურგის ტყავი. ტყავს თუ კი ვიწოვნით ის არა სჯობია ქალაქნებათ შეეკეროთ და ფეხ შიშველებმა არ ვიარა. თ? ჰაი ჰაი, რომ სჯობია! გარდა ამისა ჩვენ ვიცით რომ ტყავის ნახვრეტებიდან ამოღის ოფლი. აქედან ცხადია, თუ ტყავი არ გვექნება ოფლის დენისგანაც უზრუნველყოფილი ვიქნებით, ხოლო ზაფხულობით რომ ოფლი ძლიერ გვაწუხებს აბა ე? ვისთვის არის საილუმო?

საყვარელო შვილებო, გურული ხალხი ყოველგან და ყოველთვის წინ უძღოდა ქართველ ერს. მართალია მე ჰემარტიკურული არა ვარ, მაგრამ ბედმა აქ განავითარა ჩემი ნიჭი და შემოქმედობა. მაშ ვეცადეთ, რომ ამ მხრივაც წინ ვავუსწროთ საქართველოს სხვა კუთხეებს და დავუმტკიცოთ მათ რომ ზურგის ტყავი სრულიად საჭირო არ არის მუშაკისათვის. ძირს ტყავები!

მოვა დრო, შვილებო, და მეცნიერება ისე აყვავდება, რომ ადამიანისთვის საჭირო აღარ იქნება

არა თუ ყურის ბიბილო, ტყავი და ფეხები, საჭირო აღარ იქნება არც თავი, რადგან თავის მოვალეობას რომელიმე მანქანა შეანატრებს.

ლექტორი.

შ ა რ ა დ ა.

ქორონიკონით დაწყება შეგვხვდა, შეგვემოხვა ბედია, მაშ დამიხატეთ, რომელიც სამისის მესველია.

მას კი მოაბით სიგრძისად მღინარე გარე კახისა!.. (ბოლო ასოს წინ, ნაპოვნი ქორონიკონი რათ ღირსა!!!)

უთუოდ ჩასვით, რადგანაც უმისოდ საქმე წახედვის; რომ შეინახეთ, ვითომდა სხვად რისთვის გამოგადგების? არ თუ იქ, ქორონიკონი ორ გზობის დანაწერები, რადგანაც საქმე თხოულობს კვლავ არის მისაკერები.

ამისა შემდგომ მიწახვით მცენარე დამამშვენები, წარღვნისა შემდგომ ნოესგან არარატს განაშენები; რაღა თქმა უნდა ამ სახელს აღვიღოთ ნახვენ ჩვენები, თუმცაღა ბოლო ანბანი არ არის დასაყენები.

ის უნდა მოწყდეს, მაგრამა სხვა არის მისაშენები, რომლის სიავით მცენარე ამ ეამად მონახსენები, შორეულ ჩრდილოეთშიგან ძნელია მოსაშენები. პირველი ასო ამისიკ არ არის მოსაჩვენები

(მართალი ვითხრათ ამ ანბანს არც კი ხმარობენ ჩვენები.)

სახელ წოდება გამოვა რა ყველა ჰპოვოთ სასულათა, ქართული „მუხის“ სასტუმრო (სტუმრის მიმღები მტრულათა!) დიდი ხანია „ილწოდა“

ამ დარგში გაბედულათა თურმე ნუ იტყვით „სასტუმროს“ ჯერ ვერ ვიცნობდით სრულათა არ გვევლიოდა გლუხაკი

\*\*) ეს სიტყვა ნახშირია დარგის ნაც ლად.

\*\*\*) აქაც იგულისხმება ბიბილო.

ზუბრებზე მიჯაჭვულათა,  
სამი იენისის კანონის  
მოდერათ და მოციქულათა.  
დღეს გამოირკვა ყოველი  
ნათლათ და დიდებულათა  
ვცანით, ანდაზა „კიკისა“  
თქმული ყოფილა ბრწულათა  
„ქურტელსა ყოველს დასდინდეს  
სითხე რაც უღვას გულათა.“

არ გაუგებრებლეს რამეთუ,  
დრო მიჩანს დაკარგულათა,  
ვინაც აქამდე ვერ მიხვდა  
თავი აზია ტყულათა.

კოლა.

### სიტყვა

თქმული ლევერკელიანი მისიონირის მელქისადემ  
ათონელის მიერ ქ. ოზურგეთში აღაპზე.

ღირსნა მამან და ქრისტეს მერ მანა და ღანს ჩემნა!

არა დასცხრებს ბაგენი ჩემნი სიმართლისათვის  
და ენამან ჩემმან აღვიაროს ქვეშარიტება, როგორც  
მუშაკი ღირს არს სასყიდლისა ისე, კაცი ღირსეული  
ღირს არს ცემისა—იმ დასაქცევმა და დაკრულულ-  
მა დრომ ახალთაობისამ ოდეს, გვირგვინოსნების და  
მირონ ცხებულების მაგიერ ყაზილარებმა რომ დი-  
წყეს მეფობა ამა რაფერი იქნებოდა მათი მე-  
ფობა, ტახტის მაგიერ ჯიკვებ შედგებოდენ, დი-  
დებულ ქალოქთა ნაცულად გვიმბრაში და უვერში  
ძვრებოდენ, თოფის მაგიერ ხელთოფელი რომ ქონ-  
დენ, გურიელის მაგიერ ჩხიკვიშვილი რომ ყავდენ.  
ყოველივე ეს უღმერთო იყო და უღმერთოთ ჩაიარა,  
ხოლო მის მობრუნებამი არაფერი გეტკინა. ხო და  
იმ ყაზილარობი დრომ საძაგელი საქმე ქნა, ყველას  
დაიფიწყა ქრისტე და წმინდა სახარება მისი, გაჩნდ-  
ენ ცრუ წინასწარმეტყველნი და წარყენეს და წა-  
ბილწეს საქრისტიანო. ნამდვილი ქრისტიანი ქეშმა-  
რიტი ღვთის მსახური აღმსარებელი რჯულისა ეხლა  
ჩვენში ისე საძებარია, როგორც პირველ ქრისტი-  
ანობის დროს. ქეშმარტათ გეტყვით თქვენ დღეს გუ-  
ლი ჩემი აღსაესე არს მხიარულებითა რადგან დღეს  
ვოკვე მე ნამდვილი ქეშმარტი ძველი ქრისტიანი,  
რომელიც არა მარტო სიტყვით აღიარებს ქრისტეს  
არამედ საქმითაც ამტკიცებს მას.

ძვირფას მასპინძელზე მოგახსენებთ, კარგათ ეს.  
მის პაველ მოციქულის სიტყვები, რომელი ამბობს  
სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არსო. თქვენ ქა-  
ლანი კარგათ ხედათ თუ რა დიდებუთა და პატრიონე-  
ბით დასაფლავა მან თავისი მიცვალებული,—მოი-

წვია პატრიონის მღვდელნი მწირველნი, მგალობელ-  
ნი დიაკვნები, მოლოზნები სტაროსტა და ცველა  
კრებულნი ქრისტიანნი მისცა მღვდელქმს საწრაფი  
მგალობლებს საჩუქარი, რომელიც მე ჩემი წილი  
როგორც ლობტარმა მგალობლებს ვაჩუქე, არუქა  
დაიკვნებს და სტაროსტებს გაიკითხა მოლოზნები და  
ქერიე-ობლები და კიდევ რაც ეხლა არასთ გური-  
ში არ იციან მიცვალებულს აღსხნა სული დაკლა  
თუთრუშასავით ცხვარი გამოაცხო ხაქაპურები გა-  
ტენილი ყველით, მოგვართვა საქმათ სვირის ღვი-  
ნო და მოგვცა შეძლება ზედაზე გადაგვეშვა პურზე  
და მიცვალებულიზა შენდობა შევეფეთვლა. ამისათვის  
მამანო მე ესვამ მასპინძლის საღვრძელოს ძმაო  
ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს ყველას გვენახვო  
შენი თეთრი წვერი, მიცვალებული გიცხოვნას, მი-  
სი დანაკლისი დღეი შეგმარტოს შენ და მშვიდობა  
მოგცეს. შენისთანა ქრისტიანი ღმერთმა ბეგერი მოგ-  
ცეს სხეების საშავალითოთ. ალავერდი ვარ თქვენთან  
მამაო დეკანოზო დავით ასეთ პატრიონს მიცვალე-  
ბულს გლოვა არ შეშვენის მისი მისვლითუხლა ზე-  
ცაში ანგლოზნიც განიხარებენ და ჩვენც ნუ გდა-  
ვალთ ღვთის ნებას და ვთქვათ მრავალ-ჟამიდა.

პაპასკუა.

### ნიკობურგი.

(ძველათ ფოთი)

„Стоячее болото всколыхнулось. უნებლით მა-  
გონდება სტანოუკვირის რომან „Везь исхода“-დან ერთი  
ადგილი, სახელდობრ, ის თუ როგორ შეხედენ Грязно-  
полье-ს მტკვრებნი აპასკილანტა კრუტოვსკოის პამფლე-  
ტებს.

და ეს მაშინ, როცა ვაკვირდები სხვა და სხვა მოთქმი-  
მოთქმას და კამათის კონიატელს, რომელიც ვოლდემარის  
შენიშვნებს გამოუწვებია ფოთში.

„Защитите ваше с-во! Прежде бывало, въ Грязно-  
полье жили мы мирно, а теперь писаки развелись“.

— Время нынче прогрессивное, всякий хочет  
высказаться.

— Помните, ваше с-во, отчего не высказаться,  
развѣ я противъ этого!

Но если ругаются, клеветуют!

То обидно, когда на людей, посвятивших  
труды свои на пользу меньшихъ братіи, взводить  
клеветы...“ და სხვა.

ღიბს „ბეგები“ აუღელვებია ვოლდემარის შენიშვნებს,  
ზოგი გაიძიბს: ეს შინაურ, ოჯახურ კითხვაში ჩარევაა.  
ზოგი კი—ეს დაწერილობებსა (თითქო მას ან წერილმანი,  
ან მსხვილმანი პირტუ-ქმადებს). ზოგი კი—ეგ ლაჟში მო-  
სკოა საზოგადო მოღვეწე ბოა და სხვა.

ამ შენიშვნებს ირავლი დღესაც ტრიალებს კამათი.  
ურა ველ. ო. ის (ამთქმულ-მამთქმულთა) გლ. ებაში კი ამა-  
იკითხავ: როგორ გააქდეს ასეთ პირებს შეევენ, ვინც ყა-  
ზილარებიათ.

1871

რამ ააღივლა ეს „ზოგიერთები“? აშკარა წარჩინებული პირთა „შეხებმა“, აშკარა იმ ასე ვთქვათ, „გრიანობა-პოლურ“ შეხედულებამ, რომლითაც ისინი გაეფიქროლი არიან და რომლის მეორებით თავისუფლათ ცურაობენ ამ დამაყველად „კაბონი“.

მე სრულიადც არ მიკვირს ეს, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ზოგიერთებიც „ზოგიერთებიდან“ დადავლილად გულან ამ უხეხი შეხედულებით, ნუ თუ მათ არ იციან, რომ შეიძლება და დღესაც შეიძლება სხვა და სხვა პირთა ცოდვების მხილება და რომ ეს მხილება სასიამოვნოა არავის დარჩება?

ამ ზოგიერთების ლოლიკას რომ გავყვეთ (როგორც გავხედის, გავაყვებინაო) მაშინ, არავისღურ კონცის დამტყუარ შეიძლება და ეს კი ძალიან ხელსაყრელი იქნება მათთვის, ვინც ტრიალიკულად ჩვეულ დაზავებს რაგებს, თუ გააყვეთ, მინც „ალმერთან“. მე გგინდა საჭიროა ასეთ დამაყველად შეხედულებებზე მაღლა დგომა.

ღიბა, ჩვენ გავაღწივრდით და შეძლების დაცვად ვაძინალებთ „ზოგიერთების“ ცოდვები, და მიუხედავად მათი დამაყველებისა კვლავაც ვაძინებ „შეურაცხყოფილ, ყრპოთა ფეხთა მტკვინი რა თქმა უნდა კორიანტელს ააყენებენ, მაგრამ ჩვენთვის სწორედ ეს არის სასურველი, ეს მაი ი და ლაქიათა მათთა ქაქინი ჩოქმის დამაყველადი ქაობის მდგმერთა გამოღვივებას. ჩვერც ეს გვირდა.

ზოგიერთები (Ибо они сами не безъ пушка на рыльцѣ) რომ თავი დაახონენ „შემდეგისათვის მათი ცოდვების გამოშვებების, თხავეენ თანახმი ჭოვებს ცოდვებზე თითქო ვოლდემარის „ნეკატები“ და სხვა შენიშვნები მთელი მიმართულების (ფილუმისმეუა ერთი მიმართულება) აზრი იყოს, თითქო ყრძო პირს არ შეეძლოს ხმის ახალდება და პაჟფლტების სახით, ტუხების“ საგმობის საქმითა მხილება. ამაზე მათ უნდა მოვასწინო, რომ არც ერთ შემთხვევაში მე არავინ სუელიორად არ მეოლია, არამედ პირად ჩემს შთაბეჭდილებას (როგორც მეთვალყურე) ვამცნობდი საზოგადოებას. საჭირო მიმართვა—განვმარტო (რადგან ბევრნი დაწერეს „უკუღმა კითხულობენ“—შემდეგი:

1) ყველა ჩემ შენიშვნებში ამა თუ იმ პირის ეჭვბოლი იმდენათ, რამდენათაც იმას კავშირი აქვს ამა თუ იმ საზოგადო დაწესებულებასთან, სადაც ის პირადი მგვგობრობა-ნაცნობობით, პირადი სიმამტარანტანატით და არა საქმის ინტერესით ხელმძღვანელობდა;

2) სწორით ამ აზრითა შენიშვნები ქ-ნ დანა-ზე, „იავუზაზე“ და სხვებზე და არა ქუჩური მნიშვნელობით, როგორც ამას ზოგიერთები ხსნიან.

3) და, ჯ-იას წინააღმდეგ (მთარხბის ერთ-ერთ ნომერში—ხელმოწერული) შენიშვნა, მე არ მეკუთვნის (რასაც რუდაქცია დამოქმედებს), პირიქით ჩემ შენიშვნაში მე წინააღმდეგ დავწერე. \*)

4) და, ჯ-იას სრულიადც არ ვაღმერთებ მე, არამედ ეჭვები შენიშვნებში, იმდენათ, რამდენათ ის ხეირიანი პედალოგი იყო, რამდენათ ის ბრმად ამ ემორჩილებოდა „ბრანბლებს“;

5) არც ერთი „მიმართულების“ კოლექტიური აზრი არაა ჩემი შენიშვნები, არამედ პირადი ჩემი შთაბეჭდილებები;

6) მე, როგორც მეთვალყურე „პაჟფლტოში“ ბევრ-

გან ემპირიულ საბუთებით ებეღმდენელომდით, ბევრგან კი იმ „ხელნაუბრად“ დაქტებით, რისმდენი სინამდვილეში არსებობენ.

7) მე, როგორც მეთვალყურე გარეშე დგავარც ყოველგვარ „პარტიობის“ იგულისხმება—რა პოლიტიკური პარტია, არამედ აქაურ („ოპიტივების“ ირგვლივ დაზამული „პარტიობა“) და ამიტომ სრულიად დამოუკიდებლათ ვესჯელობ.

რაც შეეხება იმას, რომ ჩემ გამოთქმებს „ქუჩური“ მნიშვნელობით ხსნიან ამაზე უნდა მოვასწინო „ბუღვარის კომენტარობებს“ რომ მათი საქმეა ასე მოქცევა, ვინაიდან ქართული ანაზახის თანახმა, „კოკასა შინა რაუცა დღას, იგივე წარმისინდება.“ ავტორი ყოველ შემთხვევაში არაა იმაში დამნაშავე, რომ ივანეს ან ვახუშტის „ყველაფერი თავისებურად ესის და ხსნიან“.

დასასრულად ბუღვარის კრიტიკოსთა ნატაქციეი „ლიტერატურულ ეთიკაზე“, შეიძლება ქარს გავატანოთ, ამით არც ეთიკას და არც მეთიხველებს არავერი დააუღლებდა. ჩვენ ნაკლებ ვუწვეთ ანგარობის იმას, თუ რას იტყვის Maria Петровна, როცა საბუთები გვეწვება ამა თუ იმ „სახობადი მოღვაწის“ წინააღმდეგ ხმა ამოვიღოთ. ის გარემოება რომ ვოლდემარის შენიშვნებზე ლმედისაც კავთომბენ, რომ ისეთებიც კი კითხულობენ, რომლებსაც თავის დღეში არ აუღია გახუთი ხელში, მათ და უნებლიეთ აშკარად მიუწმობს იმას, რომ „стоящее болото ископаныюлось“. შემდეგისთვისაც მზადა ვარ ნიკოპურელთა სამსახურისთვის!

ვოლდემარ.

წიგნილში რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმთრწალესად გთხოვ თქვენს ცახუთის სმქალებით ნება მომცეთ სმქადატროს სამსართობი გამოქაფიო ბ-ნი გიორგ კვასაზე, რომელსაც სეგუბენიო სართობი თათბირის ერთ-ერთ კლასზე გიდი დამქაბს, თითქო მე „უბრუნეველყოფილ“ სთფელი გლჯობას სართობი არჩევნებში თათბირი წარმომადგენლები გაიყვანონ. მე ძლიერ მაკვირვებს მისი სმქით სქქაქაქი ბ-ნებით, თუ მს კი სქქობა რქქითად სმქადლობის“ მოქმობას, მე რაღა შეტაქტეუ გოქი ვარ? მოკავსენებთ, რომ ფოველიეც არ, რც ჩემზე ბ-ნმა შენგანთ დაზარაჯა, წქქისად წქქის სიფრუკ და რომ მე ზეკმარად აწ ვაზარაჯობ, ამის ცოცხალი სმქუთის სმქი თქვისი ღუმა.

ას ბ-ნო ვავსავა, ჩემს დამიგრებობთ თქვენ ფოქს ვერ ცახვადო! მაღალ სევერებშიაღ და დაბალ ღობებშიაღ მქვეხინად იციან, რომ მე მოფლენილი ვარ მსხველ მქსმქულებთ ახუ თავად - ახსურთა ზურცის ენსამკარგებათ და თქვენ ვეხვავობასც თავზე მსხვევთ. რუ თუ თქვენ, კანათლებელმა ვაგმა, არ იციან რომ მე მქას, მქსახვებას ვეხვავებათ?

იციან, რსაკვირეველას იციან, მაგრამ ვანზახს მქსმქუთ ცილას და მქმეობით. ამისათვის ვიწვევთ სმქადიატროს სამართალობაში. ჩემის მხრით ვასხვლებ სქსატორ ა. ს—ს და ი. შ—ოკს. დაე მათ ვაღსწევიტონ ვინ აჩის ჩვენ ორში მართაობა.

3 აქისის სარჩევნო კანონი.

\*) რედ. ამოწმებს, რომ დასახელებული ცნობა ვოლდემარის არ ეკუთვნის.

# უეზი ბურჯუაქს.

მოქმედება მესამე.

(დასასრული, იბ. „მათრ. და სალამქ.“ №№ 6, 7, 8, 9, 10)

## გამოსვლა VI.

(მიხეილი და ზველე)

**პავლ.** არა! მამა ნუ წამიწყლებდა ამ უჩიტელმა მომამებლა, კაცო, თავი? სულ აქანება, დოჟლია ზი-რი და მიჩერება ჩიჯოს... კვდება; ჯავრით კვდებ-ბა... მას ეგონა მივათხოვებდი...

**მიხ.** ხა... ხა... ხა... სასაციონოა ღმერთმანი! ისიც რო კაცობას იჩემებს!.. ხა... ხა... ხა...

**პავლ.** კაცობას და მერე რაღავს? ერთობის დროს თელი სოფლების გუმბერაოელი ეგონა თავი... ყველა რო უჯერებდა!.. სისულელე რო ერთ-ქვა, მისი ნათქვამი მაინც კარვად მიაჩლიათ...

**მიხ** ეხ, ვინ მისცა სოფელს ქუა, მაგისთანებს რო ჩოუვარდა საქმე ხელში, იმიზა გაკეთდა რამე...

**პავლ.** არა, იცი? ახლაც რო ყველა უჯერებს... ეს რაცხა ბიბლიოთეკაოა, კლასის ვალიდებ-ბა, საერთო ღუქანი... ყველა მან მოაფიჩიხა...

**მიხ.** ეხ, კაი თუ კაცი ხარ! თითის სიგრძე კაცის კაცობა ვინ თქვა... კაცი კი არა მაგი კრუხის მისაბამი პალოა...

**პავლ.** ხა... ხა... ხა... მამა ნუ წამიწყლებდა, სი-მართლესი ნამდელი კრუხის პალოა...

**მიხ.** ან კიდევ ეს რაფერ შეიძლება კაცი ენ-დოს იმ კაცს, ვისაც ჯიბეში ხინკი არ მეძებება... სოფელი სულელია, თვარა, მაგას რამე საქმე უნდა ანდოს? თუ რამეს აკეთებს, ყველას თავის სასარ-გებლოთ... (ამ დარს ჩიტრეკას და ეფეშის ხმა ის-მის. გულმოსუ იას ეტობათ. ცოტა ხნის შემდეგ ში-შეშებულა შეშინებულად სტანსზე და იტყვის. „ბატონო, ქაბატონი გხმობიალბოს“. ზველე გადის. კოტას ხანში დაინტერესებულად მიხედავდ გაუგება).

## გამოსვლა VII.

(მასწავლებელი, ჩიტრეკა და შემდეგ ჩიტუქა. თით-ქმას შთეული სტენა მუნჯურათ ჩაივლის. მასწავლებელს ხან წერთაბა ესატება სხეზე და ხან შუდარს ჩიტოსადაში. ჩიტრეკა ხტის და სივალს ძლიავს იმაგრებს. ჩიტოს სხივით ელაშუბა, შემდეგ სანქარით გადას).

**ჩიტრ.** ოხ, შენი მიზონის ქირიმე თანასლო, შენი! მიყვარხარ ბიჭი რო ხარ იმიზა!.. ფოლა-დიანი ბიჭი ხარ, ზაფთი გაქ, ზაფთი!.. რა გემოზე მოაწვევ საქმე! მთელმა ქვეყანამ იცის...

**მასწ.** მარჯვეთ ჩემო ჩიტრეკო, მარჯვეთ... თავი და ბოლო ახლა...

**ჩიტრ.** დარდი ნუ გაქ!.. ჩემი შიშობებუკა მო-

მიკვდის, თუ სიკვდილი არ ვინატრო... ისე გოუ-ხლი საქმეს, რო ქვეყანაში თავის წამოტობას სუ შე-ედლოს...

მასწ. აბა შენ იცი...

## გამოსვლა VIII.

(მიხეილი მარტო)

**მიხ.** (შეშობება) მამ ღდებო, ღდებო უჯანსი-ელი წამი... კიდევ ცოცხა ხანი და მეც მისს გულ-მეკრღმი შექნება ხელები... ძუძუებში... უხ, რა ბედნიერებაა (ხეგებს იხეხს, კროსს) გავწორდებ, ვავლამაზდები... (სარკეში იტყობება, ტანისმოსს ის-წარებს, ღვაჭებს იხეხს) უხ; ვადვირივ, მეტი არა ვარ კაცი... შევიზღე... რა კარგი ყოფილა სიყვა-რულესი...! (იგარებება სარკესთან, თან კარგებისკენ უწი-რულეს თვადი). ახლავე შემოვა, ჯერ თავს მოვაწო-ნებ, შორიდან მოვიყვან ეშხზე და მერე მიხვილმა იცის... არა, ღმერთ წინაშე—ღამაზიც რო კარ ვარ! იმიზა რო ოღუნე თვლები და ყოველ დღე წვრილებს მწერს... იე! სწორეთ რო კობტა ბიჭი ვარ... ჩერქესკაზე უფრო სწორეთ რო ეს რუსული ტანისამოსი შვედნის... კიდევ იმიზა რო მამწერა ჩემმა გვრიტმა: ახლა რუსულათ გამოწყობილი მე ჩვენო... იცის გემო! ვის არ აუთამაშებდი ასეთი შთრინვი ბიჭი გულს? ჩუ... ფხის ხნაია... მო-დის, მოდის! (ეუწუ უგადას), არა, მოკვედი კაცი (დადის) უცეფ რამე უზრდელობა არ ჩევიდინო, ჩე-მებურმა არ წამოძკრას... თავმოკავებულათ უნდა ვიყო (ზველეებს) მოდის, მოდის. (ჩიტუქაა მართლად შეშინდის და კარგში ჩერდება)

## გამოსვლა IX

(ჩიტუქა და მიხეილი)

**მიხ.** (მუდარით) ჩემო დერთო... ჩემო...

**ჩიტ.** შუა სტენაზე კამოდას. შიშობებო კარებდან იჭერებობანს! რა გნებავთ?

**მიხ.** (მიაწევა) ჩემო ჩიტო... მიყვარხარ...

**ჩიტ.** მე კი მეზიზღებით! (შიშობებებს სიძარზით რა ქან არ იცან).

**მიხ.** ჩემო სულიკო, შემობრალებთ, ნუ მტან-ჯავთ...

**ჩიტ.** ვინ არის თქვენი სულიკო?! თქვე სულ მღაბალო თქვენს! ვის უზნდავთ თქვენ ამას? ვინ თქვენ და ვინ პატიოსანი გრძობან? ვინ თქვენ და ვინ სიყვარული?!

**მიხ.** კარგი გენაცვალე, მაქმარე... (მოიწევა).

**ჩიტ.** შორს ჩემვან! შორს ჩემვან მტაცებელი ცხოველო! (შიშობებო ბრზხით სტეგებან).

**მიხ** (შეჩერდება და ცასწო დაბა. ჩუმათ) ეს რა ამბავია ჩემს თავზე? (ხმა მადლად) ჩიტო ჩემო, სულ მისხრობა ხომ არ შეიძობდა! თუ გიყვარავათ, ბა-რემ საქმეც ვავითათ...

**ჩიტ.** ვაიგონეთ, რომ არა თუ მიყვარხართ, მეზობლით კედელს თქვენისთანები ჩემგან სიყვარულს ვერ ეღიროსებიანი! თქვენ თქვენისთანებში ძივით გულის სწორი, აქ ადგილი არა გაქვთ!

**მის.** (ზარდაცემული) მაშ რა წერილებს რათ წერდით?

**ჩიტ.** რისი წერილები? ხომ არ შეშლილხართ?!

**მის.** აი თქვე... თქვენი წერილები (იღებს უხიდას).

**ჩიტ.** გესმისთ?! მე თქვენთვის არასოდეს ერთი სტრიქონიც არ მომიწერია და არც ისე დავიბნეობ რბ თავს, რომ თქვენისთანებს წერილი მივსწერო და დაუფიქრებრდე!.. არასოდეს!..

**მის.** აბა ეს ვისი... ვისი ნაწერი?

**ჩიტ.** ეშმაკმა არ იცის თქვენი თავი! რა ვიცი მე ვისი ნაწერი... ყველაფერი ეს პირველი და უკანასკნელი იყოს ვაებატონო! გესმისთ? (გადის).

**მის.** (თავისთვის) მგონი შევრცხვი, დავიღუბე ..

**გამოსვლა X**

(ზაფხუ, ეგვიპტა და მხეილი)

**პავლ.** (შემოვარდება ცალთან ერთად) მაჩვენე შეილო წერილი, მაჩვენე!.. აბა ვისი ნაწერი?..

**ეფემ.** გვიჩვენე, გვიჩვენე... (გაშტურებული მიხეილი ასეუგს).

**პავლ.** მამანუწამიწყდება ყველა ჩიტოს ნაწერი... ყველა... აბა ვისი ნაწერი იქნება? ან?

**მის.** არის? (ზაფხუს)

**ეფემ.** არ არის, არა! დავიღუბეთ .. დავიფსეთ...

**მის.** (ეგვიპტას) არ არის? ან?

**პავლ.** მისი ნაწერი, მისი მამანუწამიწყდება!.. მისია!..

**ეფემ.** არაა. არაა. ვინ შეგვარცხვინა, ვინ მოგვეტრა თავი? ვინ?..

**მის.** (ნაწვეტ-ნაწვეტათ) ან? მოეტყუედი? მომეტრა თავი? შევრცხვი? ვაგეტილი კაცი?.. ა?

**პავლ.** (ჩაგვირგობის შემდეგ) ვაი, მგონი მართლაც არაა მისი ნაწერი! დამესხა ურგებზე წყალი? ჩამვიდარა კოჭი ნაცარი? ან? ვინ გამოიწყვიტა სოფელ ქვეყანაში? ვინ?.. ან?..

**ეფემ.** რა მემსრო? რა მემსრო? სად გამოვჩეთ? ვის ვეჩვენო?

**პავლ.** გამომეტრა ყველა ვიღაცამ, მირა რავე გამომეტრა? დამკლა, მირა რავე დამკლა! ამ ურჯულომ, ამ შეჩვენებულმა!..

**მის.** რაა ეს ჩემს თავზე? რაც არ დამმართია ის მიქნეს? სად გავიარო? ვის შევებდო?..

**ეფემ.** კაცო, ეგება პოჩერა გაფეიკვლა, დააკვირდი კარვად...

**პავლ.** შეიძლება... შეიძლება...

**მის.** ვინ იცის.. ვინ იცის, ეგება მართლაც ანა... ვინ იცის, ვინ იცის... დაუფიქრებლად (შმაღახა ამკლით ათავადიერებზე).

**გამოსვლა XI**

(ივანევე. მასწავლებელი, ჩიტა, ჩიტარეკია და შაშუი-ბუჭა)

**პავლ.** (ხეკენით) შეილო, გავგებინე რაშია საქმე. ნუ დაგვეტრი თავები!.. ნუ შეგვარცხვინე...  
**ეფემ.** შეილო, ჩემო ჩიტო, ნუ მიყობი ეშმაკებს... ნუ კრავ კარზე მომდგარ ბედს ხელს!.. გვითხარი, შენი დაწერილია ის წერილები, თუ არა? შენი ქიარმიე...

**მასწავ.** ის წერილები ყველა ჩემი ნაწერია, მე ვატყუებდი მიხეილ გელტაქეს, მინდოდა შემვარცხვინა, საქვეყნოთ თავი მომეტრა ამ ფულით გაკვირებულ ვაებატონისათვის! მინდოდა ყველასათვის აშკარათ მეყო მისი სულიერი სიმდაბლე და გარყვნილება და კიდევ მივალწიე მიზანს. ჩიტულის ამაში ბრალი არ უძებს...

**მის.** გასტყვი მიწა! ჩამუღაბე მიწაო! გამაქვრე, მომსტე!.. სად გამოვთე? ტანისამოსი მინცარ მეცვალა. ქვეყანამ იცის!.. ქვეყანამ!.. (სასიწარვეთილი დგას).

**პავლ.** ვი დედაჩემს! რას მოვეწვარი ამას!.. ესლა მაკლა... საქვეყნოთ შერცხვენა, არა?

**ეფემ.** მომკალით, მომკალით ვიცხამ! ქრისთიანო...

**მასწ.** იცოდეთ ყველამ, რომ დღეიდან ჩიტო ჩემია .. (ერთმანეთს ჩავიღებენ ხელებს).

**პავლ.** ან? შეილო გავიწყრა ღმერთი? ა? ჯერ მაცალე და.. ჯერ მაცალე და... შენ თუ ტულიზზე არ გავასეც კემით მე კვტარი ვიქნები მაშინ!.. შენი წიხლი მაშინ ჩემს გვერდებში!..

**მის.** მე აწი ქვეყანაში გამოჩენა არ შემიძლია, გამოთხარეთ მიწა, ჩამავდეთ შით... გამოვწყდი ტოლმთხრო... გამეფითიშე!.. მერე ვინ მიქნა ეს, ვინ? ან?..

**ჩიტარ.** აბა რავე გეგონა ბურჯუაძე! ვინ მოგავებდა შენ ამისთანა ქალს... ჩემეტრე ათანასეს, მირა მოგაბა ექმთი თუ არა!..

**მის.** ვი დედაჩემს, ვი დედაჩემს!..

**ჩიტარ.** შიშტიბუქ, მოდი აქ. მე და შიშტიბუქაც დღეიდან გარახტებული ვართ ერთმანეთში. (ქზვევა) ვერაფერ დაგვაშორებს!..

**ეფემ.** დავცხსხა კერიაზე წყალი... დავცხსხა...  
**ჩიტარ.** ბურჯუაძე, შენ რას შობი? ვინაა შენი ცალი? ჩიტოს უღალატე? ექმთი ბურჯუაძეს!.. ბრანწი... ბრანწი ოცდახუთი. ახალ შეტერლ ტანისამოსს მოუარე ბოშო, არ დავგინჩნოს!..

ფ ა რ დ ა

ვ. მალაქიაშვილი.



# ნაჩილუბი უზგაჟოსადი

**დ. სამტრიალი.**—ამ დღეებში აქ ერთი ფრიად არა სასიამოვნო ამბავი მოხდა. როცა სლამოს მატარებლის მოსვლის დროს სადგურის ბაქანზე ერთი ქართველი მამულიშვილი ექიმი და ვიღაც მანდილოსანი დასეირნობდა, მათ თავს დაესხა ვიღაც ახალგაზდა ებრაელის ქალი და ორივე ქორივით გაუწეა. როგორც იქნა ექიმი და მანდილოსანი ხელიდან დაუსხლტნენ და ხელში შეატიეს მანდილოსანმა ნაწნავები და ექიმმა წვერულავაში.

წიწია.

**დ. აბაშა.**—ამ დღეებში აქ იკიდავეს ორმა მღვდელმა—ჯაკობიამ და კვერკველიამ. ქიდაობას ხალხი ბლომით დაესწრო. ჯაკობია დამარცხდა, მაგრამ ეს დამარცხება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კვერკველიამ დაარღვია ქიდაობის წესი და ქოლგის ტარით სცემა ჯაკობიას ცხვირ-პირში. მაჟურებელნი ძლიერ აღაშფოთა ამ გარემოებამ გამოიძიება სწარმოებს.

კვათიანის საზოგადოებაში ეკლესიები გაიფიცენ. მოითხოვენ ახლად აშენებას. წირვა მრავალ ეკლესიებში შესწყდა.

ფოსტალიონი მესხი წერილების მიღების დროს ყველას მეტრიკულ მოწმობას და ნამსახურობის სიას სთხოვს.

პრივტ ეშმაკი.

**ს. ხიღისთავი.** (გურია) ნ ოქტომბერს ჩინგრა მანდილოსანი ბარიშნეგით დატვირთული მდ. გობაზოულის ხიდი. მრავალი მანდილოსანი ჩავარდა წყალში. ბედით ამ დროს იქ შესესწრო ერთი მოსული ახალგაზდა, რომელმაც ხელათ „უყუენთა“ და მოტივტივე ბარიშნეგი დარჩობას გადაარჩინა. საინტერესო სანახავი იყო, როცა წყლიდან გამოიღოდა, სამი „ბარიშნა“ ერთათ გამოჰქონდა, ერთი კიბილებით და თითო ხელეგნით. ადგილობრივი საზოგადოება მადლობის გადასახდელათ ემზადება.

ამხანაგობა „მობა“ დროებით დიშალა. წვერები აქეთ იქით დაიფანტნენ. სერბინეს ბალმა ყურები ჩამოყარა.

**დ. ჩოხატაური**—ამ ბოლო დროს ძალიან გაზნირდა გვერდების ზელო. თუ ვინმეს გაუწყრა ღმერთი და ბაზარში ფეხი ჩამოუცთა, სულ ერთია ქალი იქნება თუ კაცი, წელმოუტეხელი ვერ წავა. ამას წინათ ერთ მოხუც ქალს ისე დაუზილეს გვერდები, რომ ერთი კვირა ლოგინიდან ვეღარ ღდებოდა. რამ შეაბურა ეს „დადცველი“ რაინდები ვერ გაუგიათ.

იყო.

**ს. სვირი**—ქუთათურმა „იალტისტემმა“ ერთი განყოფილება სვირშიაც დაარსეს.

ადგილობრივი მღვდლები ძალიან გაგვიანაყენდენ, რომ წელს მდარე ღვინო დავიდდა და ქელეხებში ვეღარ თვრებიან. ამას წინათ ერთ ქელეხში მამა მკედლიძემ კინალამ სცემა მიტეკალბულოს პატრონს, რატომ კარგი ღვინო არ დამალვიენო.

ორსაფლლი.

**სად. მუხიანი**—მირაბს გრიგოლ ბერაძეს ექს მირაბობას აძლევენ. მიზეზი ის არის, რომ ყანების მოსარწყავი არხი რიონიდან პირდაპირ თავის ეზოში მიუშვა.

ღიღი გავლევების გამო ქები დაშრა და რომ ხალხი წყურვილით არ მოკვდეს, გადასწყვიტეს გახსნან კიდევ 24 სამიტიკრო დუქანი.

დესპოტი.

**ოფიშქვიით.**—მარკოზ სანებლიძემ ახალი საშუალება გამოიგონა დამშეულ გლეხების დასახმარებლათ, რადგან ფუთი სიმინდი სამ აბაზ ნახევარზე ნაკლებ არ იყიდება, ის თითო აბაზათ აძლევს მოყვანლობით დაზარალებულ გლეხებს ფუთ სიმინდს. მხოლოდ ფუთი სიმინდის აწონაში სულ ცოტას იღებს, ასე ერთ მანეთს, არც მეტს და არც ნაკლებს.

დესპოტი.

**კოლეგი.** გიგო ლორია უგუნებოთ შეიქნა, რადგან სულ ყველა სახნავ-სათესი მიამული ვერ აღიაროთ და მუშები ერთმანეთს ვერ გადაჰკიდა. კადინა ვასასიამ იმაში კი დააარწუნა ხალხი, რომ უმრევლოთ ცხოვრება არ შეიძლება, მაგრამ ჯერ ის ვერ შეაგნებია შეუძლია თუ არა ხალხს დრამის გადარუხვდლათ ცხოვრება.

მერცხალი.

**შინდისი.** პურით და ღვინით განთქმული

ქართლის სოფელი შინდისო, ე როგორ ვაგმრავლებია ხალხი უნამუს-სინდისო? უშიშრათ დანაიარდობენ სინდელის მელა-ტურები, უბრალო სიტყვა-რო წაგდდეს დაკვეთილი აქვთ ყურები. ვაჩილა ავხედ დავხედავს გულზე მივაბჯენს მახვილსა ძნელად დაუფერე ხელიდან გამოსარჩენში დაკდილსა.

ს. სიმონოვი.

**მათრასის ფოსტა.**

**ბათუმი, „გეგაფს.“** არ დაიბეჭდება.

**ჯეხტაფოსტო. მელას.** სხვისი ლექსების პარკის, ქათმები მოგაპარათ ის აჯობებდა, არ დაიბეჭდება.

**ბორი.** „მს მშ მარა“-ს. გვეჯრა ბატონო, მაგრამ ვწუხვართ, რომ ეს ჩვენი ვართ, რომლებიც ამოვს ვეძებთ ახრე სქვენს ლექსში.

**ბაძო.** „ნავთს.“ ამბობენ ნათე წყალს არ შეირევსო და გვივირს თქვენი წერილი იგერ რამ ვაწყალ-წყალა!

**სალპო, ს. სიკაჩიანიშვილს.** მივიღეთ თქვენი ლექსი „მზე და მთავრე“ სადაც მაგარე ეუბნება მხეს:

იუძოროსტულ ზოპულიანრული, ეთკველ-კვირეული, სურათებინი ქურსნალი

# „მათრასი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით — 2 მან. 50 კ., ერთი თვით — 50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ლირებულ ფასს (2—50) სრულად გამოგზავნის რედაქციას, გაგზავნება აგრეთვე უკვე გამოხული „სალამურის“ აღმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრუქტონი 20 კ., უკანასკნელზე — 10 კ. დროებითი რედაქციის მდრესი: Тифлиς, Типография Т-ва «Шрома» Василию Болквадзе.

«მთვარემ პასუხად შეუთვალა: ნურას ჩხახავ ძამივალ, შენთვის გაჩერედ გეჯდის მე ნუ გამიწეე მტრობასო.»

უზგობესი იქნებოდა ეს ლექსი მთვარეს მხისათვის კი არა, პირდაპირ თქვენთვის მოეწევა.

**აგაზა, შარ-ციხელს.** „კოკასა შინა რაცა სდვას იგივე წა-მოსდინდების“-ო, ამბობს ქართული ანდაზა, თქვენ ლექსში კი (სატრფოსადმი) ქარი ერთობ სჭარბობს ცეცხლსა.

## იყიდება „შრომის“ სტამბაში

და ბერეთვე ცაგესხანებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . . 18. 30 კ.

2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . . 2 — 50

3) „აღმანახები“: აკაკი, ეშმაკი, გოჯოხეთი, ეშმ, მათრ., და ტარტაროზი, — სულ 10 ნომერი ერთად შეკერილი . . . . . — 50

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან 3. ირეთელისა . . . . . — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ლირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნა შეიძლება.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ახალი დრამა

პ. ი რ მ თ ლ ი ს ა

## ქრისტიანე

(სიუჟეტი ადგებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნის გამოწერას შეიძლება მხოლოდ ნაღდი ფულით შეიძღვეს აღრესით: Тифлиса, Типография Шрома В. К. Болквадзе.

ვინც არა ნაკლებ 50 კაღისა გამოიწერს, დართობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო კაღი მიიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფაშის მიიღებს თავის აღრესზე.